

**შპს „ტობე“
ფინანსური ანგარიშგება**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	6
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	7
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	7
3. მსჯელობები და განუსაზღვრელობის შეფასებისთა	12
4. შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	12
5. განუღლი მომსახურების თვითღირებულება.....	13
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13
7. ძირითადი საშუალებები	14
8. ფული და ფულის ექვივალენტები.....	15
9. სავაჭრო მოთხოვნები	15
10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი.....	15
11. სხვა მიმდინარე აქტივები	15
12. პირობითი ვადღებულებები	15
13. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები.....	16
14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	16

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები	4	108,274	314,869
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	-	(378,865)
მთლიანი მოგება / (ზარალი)		108,274	(63,996)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(63,400)	(211,795)
ცვეთა და ამორტიზაცია	7	(72,723)	(99,180)
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	9	-	-
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		(27,849)	(374,971)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება / (ზარალი)		(27,849)	(374,971)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოსავალი		(27,849)	(374,971)

თენგიზ ჩირაძე

გენერალური დირექტორი:

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები	4	108,274	314,869
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	-	(378,865)
მთლიანი მოგება / (ზარალი)		108,274	(63,996)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(63,400)	(211,795)
ცვეთა და ამორტიზაცია	7	(72,723)	(99,180)
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	9	-	-
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		(27,849)	(374,971)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება / (ზარალი)		(27,849)	(374,971)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოსავალი		(27,849)	(374,971)

თენგიზ ჩირაძე

გენერალური დირექტორი:



**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	8	12,417	16,167
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	9	1,165,548	1,153,682
მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები	10	21	21
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,177,986	1,169,870
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	2,896,528	2,969,251
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,896,528	2,969,251
სულ აქტივები		4,074,514	4,139,121
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		23,111	23,111
გაუნაწილებელი მოგება		905,767	947,879
სხვა რეზერვები	7	2,357,539	2,357,539
სულ კაპიტალი		3,286,417	3,328,529
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		769,090	787,738
საგადასახადო ვალდებულება	11	19,007	22,854
სულ ვალდებულებები		788,097	810,592
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,074,514	4,139,121

თენგიზ ჩირაძე

გენერალური დირექტორი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	8	12,417	16,167
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	9	1,165,548	1,153,682
მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები	10	21	21
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,177,986	1,169,870
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	2,896,528	2,969,251
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,896,528	2,969,251
სულ აქტივები		4,074,514	4,139,121
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		23,111	23,111
გაუნაწილებელი მოგება		905,767	947,879
სხვა რეზერვები	7	2,357,539	2,357,539
სულ კაპიტალი		3,286,417	3,328,529
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		769,090	787,738
საგადასახადო ვალდებულება	11	19,007	22,854
სულ ვალდებულებები		788,097	810,592
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,074,514	4,139,121

თენგიზ ჩირაძე

გენერალური დირექტორი:



კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	სხვა რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	23,111	2,357,539	1,348,630	3,729,280
წლის მოგება / (ზარალი)	-	-	(374,971)	(374,971)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
წლის სრული შემოსავალი	-	-	(374,971)	(374,971)
გაცემული დივიდენდი	-	-	(25,780)	(25,780)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	23,111	2,357,539	947,879	3,328,529
წლის მოგება / (ზარალი)	-	-	(27,849)	(27,849)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
წლის სრული შემოსავალი	-	-	(27,849)	(27,849)
გაცემული დივიდენდი	-	-	(14,263)	(14,263)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	23,111	2,357,539	905,767	3,286,417

თენგიზ ჩირაძე

გენერალური დირექტორი:

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	სხვა რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	23,111	2,357,539	1,348,630	3,729,280
წლის მოგება / (ზარალი)	-	-	(374,971)	(374,971)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
წლის სრული შემოსავალი	-	-	(374,971)	(374,971)
გაცემული დივიდენდი	-	-	(25,780)	(25,780)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	23,111	2,357,539	947,879	3,328,529
წლის მოგება / (ზარალი)	-	-	(27,849)	(27,849)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
წლის სრული შემოსავალი	-	-	(27,849)	(27,849)
გაცემული დივიდენდი	-	-	(14,263)	(14,263)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	23,111	2,357,539	905,767	3,286,417

თენგიზ ჩირაძე

გენერალური დირექტორი:



ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება**2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგვრამდე:		(27,849)	(374,971)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	7	72,723	99,180
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:			
სხვა დანახარჯები (გაუფასურების ზარალი)	9	(14,263)	(75,797)
სავაჭრო მოთხოვნების შემცირება (ზრდა)		(9,299)	114,755
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემცირება (ზრდა)		-	254,861
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა (შემცირება)		(22,495)	(95,078)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(3,750)	(77,050)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან შემოსავალი		14,263	99,797
მანქანა-დანადგარების შეძენა		-	-
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		14,263	99,797
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გაცემული დივიდენდი		(14,263)	(25,780)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(14,263)	(25,780)
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით		16,167	19,200
წმინდა ზრდა/(შემცირება) წლის განმავლობაში		(3,750)	(3,033)
31 დეკემბრის მდგომარეობით		12,417	16,167

თენგიზ ჩირაძე

გენერალური დირექტორი:

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგვრამდე:		(27,849)	(374,971)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	7	72,723	99,180
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:			
სხვა დანახარჯები (გაუფასურების ზარალი)	9	(14,263)	(75,797)
სავაჭრო მოთხოვნების შემცირება (ზრდა)		(9,299)	114,755
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემცირება (ზრდა)		-	254,861
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა (შემცირება)		(22,495)	(95,078)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(3,750)	(77,050)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან შემოსავალი		14,263	99,797
მანქანა-დანადგარების შეძენა		-	-
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		14,263	99,797
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გაცემული დივიდენდი		(14,263)	(25,780)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(14,263)	(25,780)
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით		16,167	19,200
წმინდა ზრდა/(შემცირება) წლის განმავლობაში		(3,750)	(3,033)
31 დეკემბრის მდგომარეობით		12,417	16,167

თენგიზ ჩირაძე

გენერალური დირექტორი:



განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ტობე“ (შემდგომში - „კომპანია“) დაფუძნდა 2003 წლის 18 ნოემბერს, საიდენტიფიკაციო კოდი - 212817610, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქუთაისი, ავტომშენებლის ქ., №4.

2021 წლიდან კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მხოლოდ სამუშაო ტექნიკისა და ფართების იჯარით გაცემა, გაქირავება, მანამდე კი კომპანიის ძირითადი და წამყვანი საქმიანობა მოიცავდა ბეტონის წარმოება რეალიზაციას, გზების დაგებას.

კომპანიას 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საშუალოდ ჰყავდა დასაქმებული 3 და 46 თანამშრომელი, შესაბამისად.

კომპანიის მესაკუთრეობა, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წარმოადგენილია შემდეგი წილობრივი თანამფლობელობით:

თენგიზ ჩირაძე 60002014156 - 20.8%
 იური ტყემალაძე 53001008665 - 6.60%
 თენგიზ კუტივაძე 60001075309 - 6.6%
 ამირან გერაძე 600010754158 - 6.6%
 მევლუდ ნოსელიძე 60001036112 - 6.6%
 გივი ლომიძე 53001034164 - 6.6%
 ბესარიონ ჯანელიძე 60001022303 - 6.6%
 კონსტანტინე ავალიანი 01007000853 - 6.6%
 ავთანდილ ჟორჯოლიანი 60001048392 - 6.6%
 ლარა სილაგავა 6000161920 - 6.6%
 მედეა ცქიტიშვილი 01008035419 - 6.6%
 ლევანი კვიცარიძე 60001122981 - 6.6%
 მამუკა კვინიკაძე - 60002017238 - 6.6%

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ფასს მსს - ის პირველადი გამოყენება

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია ამზადებდა ფინანსურ ანგარიშგებას ადგილობრივი აღრიცხვის პრინციპების მიხედვით, რომელიც ზოგადად მიღებულია საქართველოში და ეფუძნება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობას, თუმცა არ მოიცავს მნიშვნელოვან სააღრიცხვო პრინციპებსა და ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებს. 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიამ პირველად მოამზადა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით. ამასთან ერთად კომპანიამ გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეკომენდაციო მითითება, რომელიც 3 კატეგორიის საწარმოთათვის შედგათს ითვალისწინებს. 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს, კომპანიამ საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოამზადა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც არის კომპანიის მცირე და საშუალო საწარმოების

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

სტანდარტზე გადასვლის თარიღი, თუმცა ზემოაღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არ წარმოადგენს მცირე ფასს-ით მომზადებულ სრულ პაკეტს.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. მენეჯმენტის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა - ქართული ლარი.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

(ბ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

აქტიური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(გ) გადახდილი ავანსი

(გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. თუ არსებობს ნიშანი, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში აღიარდება.

(დ) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება**(ა) შემოსავლის აღიარება****შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან**

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანგარიშსწორების რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული მომსახურებისათვის მისაღებ თანხებს, ფასდაკლებების, უკან დაბრუნებებისა და დღგ-ს გარეშე. ამონაგები აღიარდება, როდესაც შესაძლებელია ამონაგების საიმედოდ შეფასება; მოსალოდნელია, რომ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში.

მომსახურების გაწევიდან ამონაგები იმ სააღრიცხვო პერიოდში აღიარდება, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება.

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს. შემოსავალი არის საქონლის გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები თანხები უკანდაბრუნებული საქონლის, ფასდათმობისა და გაყიდვასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით (მაგ. დამატებული ღირებულების გადასახადი).

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ბ) საოპერაციო ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

მშობელი საწარმო სამუშაო ვალუტას წარმოდგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს	3.0976	3.5040
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბერს	3.2766	4.0233

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

საწესდებო კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და გაცემა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

ძირითადი საშუალების დასახელება	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მიწის ნაკვეთები	ცვეთა არ ერიცხება
შენობები	20-25
მანქანა-დანადგარები	8-10
სატრანსპორტო საშუალებები	10-15
აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	5

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს მასალებსა და ნედლეულს, პირდაპირ შრომით დანახარჯებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებსა და ნებისმიერ დაკავშირებულ საწარმოო ზედნადებ დანახარჯებს. მარაგის გაუფასურებაზე შეფასება ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღით. თუ მარაგი გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე და გაუფასურების ზარალი მაშინვე აღიარდება მოგება-ზარალში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

3. მსჯელობები და განუსაზღვრელობის შეფასებისთა

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა (მაგალითად, მარაგების შეფასება, ძირითადი საშუალებების სასარგებლო ვადის განსაზღვრა), რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებსა, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე.

4. შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან

შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან მოიცავს: სამუშაო ტექნიკისა და ფართების იჯარით მიღებულ შემოსავლებს.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

5. განეული მომსახურების თვითღირებულება

ის მოიცავს ნედლეულსა და მასალებს, აგრეთვე გზების დაგებასთან პირდაპირ დაკავშირებული დასაქმებული პერსონალის შრომით ანაზღაურებას, კომუნალური მომსახურების ხარჯებს.

	2021	2020
ძირითადი მასალების დანახარჯები	-	254,389
დამხმარე მასალების დანახარჯები	-	113,337
ავტოსატრანსპორტო საშუალების ხარჯი	-	11,139
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-	378,865

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
შრომის ანაზღაურება	6,988	179,307
საკონსულტაციო და სხვა მომსახურების ხარჯი	32,187	82,924
ელექტრო ენერგიის ხარჯი	31,592	24,074
ბანკის ხარჯი	237	257
სასამართლო ბაჟი	6,659	1,030
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მოგება	(14,263)	(75,797)
სხვა ხარჯი	0	0
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	63,400	211,795

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

7. ძირითადი საშუალებები

ღირებულება	მიწა	შენობები	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	სულ:
2019 წლის 31 დეკემბრის მდგ.	2,365,650	1,046,471	347,468	537,784	61,782	4,359,155
შეძენა	-	-	-	-	-	-
ჩამოწერა	-	-	-	(232,126)	-	(232,126)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგ.	2,365,650	1,046,471	347,468	305,658	61,782	4,127,029
შეძენა	-	-	-	-	-	-
ჩამოწერა	-	-	-	(232,126)	-	(232,126)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგ.	2,365,650	1,046,471	347,468	305,658	61,782	4,127,029
აკუმულირებული ცვეთა	მიწა	შენობები	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	სულ:
2018 წლის 31 დეკემბრის მდგ.	-	(366,265)	(318,666)	(413,413)	(50,625)	(1,148,969)
ცვეთა 2018 წლის მანძილზე	-	(52,324)	(12,318)	(47,462)	(5,652)	(117,756)
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბრის მდგ.	-	(418,589)	(330,984)	(460,875)	(56,277)	(1,266,725)
ცვეთა 2020 წლის მანძილზე	-	(52,323)	(8,784)	(34,041)	(4,032)	(99,180)
ჩამოწერა	-	-	-	208,126	-	208,126
2020 წლის 31 დეკემბრის მდგ.	-	(470,912)	(339,768)	(286,790)	(60,309)	(1,157,779)

წმინდა საბალანსო ღირებულება	მიწა	შენობები	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	სულ:
2020 წლის 31 დეკემბრის მდგ.	2,365,650	575,559	7,700	18,868	1,473	2,969,251
2021 წლის 31 დეკემბრის მდგ.	2,365,650	523,235	749	6,853	40	2,896,528

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

8. ფული და ფულის ექვივალენტები

	ლარი	ლარი
დასახელება	31.12.2021	31.12.2020
ნაღდი ფული სალაროში	153	2,905
ფული საბანკო ანგარიშებზე	12,264	13,262
სულ:	12,417	16,167

9. სავაჭრო მოთხოვნები

2019 წელს კომპანიამ შეაფასა სავაჭრო მოთხოვნებიდან თანხების ამოღების რეალური შესაძლებლობები და შექმენა ანარიცხის რეზრვი, ბარალის მოგება-ბარალში ასახვით (სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ბარალი).

დასახელება	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო მოთხოვნები	2,487,216	2,477,917
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი	(1,324,235)	(1,324,235)
სავაჭრო მოთხოვნების ჯამი:	1,162,981	1,153,682

10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი

	ლარი	ლარი
დასახელება	31.12.2021	31.12.2020
საქონელი	21	21
ნედლეული და მასალები	0	0
მზა პროდუქცია	0	0
სულ:	21	21

11. სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს წინასწარ გადახდილ დღგ-ს ან საშემოსავლო ვალდებულებას.

12. პირობითი ვალდებულებები

კომპანიას 2015 წლიდან აქვს სასამართლო დავები პარტნიორებთან და ერთ მუნიციპალურ ორგანოსთან. 2020 წელს სასამართლომ დააკმაყოფილა პარტნიორის დავა, და კომპანიას 2020 და 2021 წლებში მოუწია აღმასტულებლის შუამავლობით დივიდენდის გაცემა, ხოლო მუნიციპალიტეტის ორგანოსთან დავა კომპანიის სასარგებლოდ დასრულდა. კომპანიამ მუნიციპალიტეტის თანხა ანგარიშზე 2020 წელს მიიღო.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

13. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

კომპანიაში დასაქმებული ზოგიერთი პირი წარმოადგენს დაკავშირებულ მხარეს. ასევე დაკავშირებული იურიდიული პირისგან ხდება ნედლეულისა და მასალების მოწოდება.

14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 03 ნოემბერს.